



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 39

2017 წლის 03 თბილის

ქ. თბილისი

"2017 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 22 მარტის N 18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ნინო ბიწაძის სამსახურებრივი ბარათის (N433992, 01.05.2017) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება 2017 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 22 მარტის N 18 ბრძანების დანართ 1-ში, „2017 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის პირობები“ მე-6 მუხლის მე-6 პუნქტში და კონკურსის ელექტრონული რეგისტრაციის საბოლოო ვადად განისაზღვროს 8 მაისი, 16:00 სთ-ის ჩათვლით.
2. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).


2-მუხლის

მანანა მიქაბერიძე

გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

შემსრულებელი:


იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი
სპეციალისტი



/ნინო მაჩურიშვილი/

შეთანხმებულია:

იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის
მოადგილე



/მარიამ იაშვილი/

იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი



/ეკატერინე ბუთლიაშვილი/

სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის
დეპარტამენტის უფროსი



/გიორგი ხიშტოვანი/

003561